

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №39

ქ. თბილისი

“5” ნოემბერი 2019 წ.

## 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ინსტიტუტი "ოპტიკა" (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი დირექტორის დავით კაკულიას სახით, და მეორეს მხრივ, შპს „GEOSM“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახოზაძის სახით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების” შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

## 2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

- 2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1 გათვალისწინებული საქონელის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვა.
- 2.2. ხელშეკრულების №1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **387.70 (სამას ოთხმოცდა შვიდი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს**, და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მოსაკრებელს.

## 4. მიწოდების ვადები და ადგილი

- 4.1. მიმწოდებელი აწვდის საქონელს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.
- 4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

## 5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.
- 5.2. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებით.
- 5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორს დავით კაკულიას
- 5.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომეტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.
- 5.5. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე

## 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

- 6.1.** მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
- 6.2.** შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

## 7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

- 7.1.** მიმწოდებელი ვალდებულია:
- 7.1.1.** შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.
- 7.1.2.** შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის გადაცემიდან ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების ტექნიკური პარამეტრების ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით.
- 7.1.3.** მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით.
- 7.1.4.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 7.1.5.** მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.
- 7.1.6.** მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
- 7.2.** შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
- 7.2.1.** მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
- 7.2.2.** მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
- 7.2.3.** ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 პროცენტის ოდენობით.
- 7.2.4.** შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:
- 7.2.5.** მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება.
- 7.2.6.** მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 7.3.** თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

- 8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
- 8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.
- 8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 9. სხვა პირობები

- 9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.12.2019 –მდე.
- 9.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.
- 9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
- 9.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.
- 9.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

### მიმწოდებლის მხრიდან:

შპს "geosm"

მისამართი: ქ. თბილისი, ასათიანის ქ.14

ტელ/ფაქსი: 322729119

საიდენტიფიკაციო კოდი 245621288

საბანკო რეკვიზიტები:

„პროკრედიტ ბანკი“

საბანკო კოდი MIBGGE22

სა: GE45PC0223600100010827

### შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:

სსიპ – ინსტიტუტი "ოპტიკა"

მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1

ტელ/ფაქსი: 365008/337821

საიდენტიფიკაციო კოდი № 211367279

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

საბანკო კოდი TRESGE22

ანგარიშსწორების ანგარიში № 7 0870 7519

ღირეპტორი

№	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი
1	თხევადი საპონი- Lorems 5ლიტ.cpv-33711900	ლ	3	14.50	43,50
2	ხის დალამინ. იატაკის მოსარეცხი სითხე ნუშის ზეთით pronto 750მლcpv-39831300	ც	2	9.70	19,40
3	ტილოს ქარალდი A4 თეთრი ფერის 100 პურც.- 3 ცალიანი (32x35) cpv- 30197630	შეკვრა	1	20.00	20,00
4	საბეჭდი ქალაღი double A 80 /გმ A3 cpv-30197630	შეკვრა	3	22,90	68,70
5	წებო სილიკონი Artline 60 ml cpv24590000	ც	2	2.23	4,46
6	წებო როლერი Deli stationery 8მ-6მ- cpv-24910000	ც	3	3.32	9,96
7	კორექტორი როლერი Scooter kore 8მ 4,2 mmcpv-30192160	ც	3	4.09	12,27
8	ბლოკნოტი ტყავის ყდით და შესაკრავით 23,5x18cm. cpv- 22816100	ც	2	12.65	25,30
9	კალკუკატორი 16 ტანრიგი Deli stat, 22X154X41 cpv- 30141000	ც	2	21,91	43,82
10	სახაზავი დრეკადი 20სმcpv 39292500	ც	1	1.30	1,30
11	ლაინერი სუპერწვრილი წვერიოcpv-30192123	ც	3	3,47	10,41
12	ფანქარი 6 Bpremuim strongcpv-30192130	ც	10	0,71	7,10
13	წებოვანი, გვერდის მოსანიშნი პლასტიკური merry stat. 12X45 mm125 ფურც.cpv22816300	ც	3	1,20	3,60
14	წებოვანი, გვერდის მოსანიშნი პლასტიკური45 125 ფურც. cpv22816300	ც	3	0.96	2,88
15	ფლემ მებსიერება VERBATIM 16 GB cpv 30234600	ც	5	23,00	115,00
				<b>სულ:</b>	<b>387,70 ლარი</b>

დავით კაკულია \_\_\_\_\_

თეიმურაზ ახოზაძე \_\_\_\_\_

დირექტორი

დირექტორი

